

1. საკვლევი თემის (პროექტის) დასახელება*

საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმებების გავლენა საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის ფორმირებაზე და ბიზნესზე

** შენიშვნა: საკვლევი თემა (პროექტი) შეიძლება წარმოდგენილი იყოს ავტორის ან ავტორთა ჯგუფის მიერ მონოგრაფიის, სამეცნიერო სტატიების, სახელმძღვანელოს შექმნის ან დარგში ახალი გამოკვლევის (გამოგონების) მიზნით.*

2. საკვლევი თემის (პროექტის) აქტუალობა და მისი პოზიციონირება განაცხადის შევსების დროისათვის შესაბამის დარგში*

საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმებები (მაგალითად, ორმაგი საგადასახადო ხელშეკრულებები, BEPS ინიციატივა და სხვა მსგავსი შეთანხმებები) მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეროვნული საგადასახადო სისტემის ფორმირებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახელმწიფო ცდილობს მიაღწიოს საერთაშორისო ეკონომიკურ სტაბილურობას. საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმებები ეხმარება ქვეყნებს ასევე დიპლომატიური ურთიერთობების გაღრმავებაში. საქართველო როგორც განვითარებადი ქვეყანა, ცდილობს გამოიყენოს საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმებები, რათა შექმნას ინვესტიციებისთვის მისაღები გარემო. ქვეყანა აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორიცაა OECD, EBRD, IMF და მსოფლიო ბანკი, რათა მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები და საგადასახადო შეთანხმებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ პროცესში.

სადისერტაციო კვლევის შეკითხვა შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდგენიარად: როგორ ახდენენ საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმებები (როგორიცაა მაგ: BEPS (Base Erosion and Profit Shifting)) გავლენას ეროვნული საგადასახადო პოლიტიკის ფორმირებაზე და განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში რა რისკები არსებობს მსგავსი შეთანხმებების დროს.